წელიწადი მეხუთე.

საქართველო უწინარეს ყოვლისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თეთრი გიორგი

ქართველ პატრიოტთა ორგანო თეთრი გიორგი.

პარიზი.
ნოემბერი 1930 წელი
№ 34

Journal de l'Organisation des Patriotes Géorgiens «THETHRI GUIORGUI»
Rédaction : THETHRI GUIORGUI, 11, Porte Champerret, Paris XVII
რედაქტორი მ. წერეთელი.

Paris
Novembre 1930
No 34

## თ. გიორგის მეორე ყრილობისათვის

ამა წლის დეკემბერს მოხდება მეორე ყრილობა თ. გიორგისა პარიზში. პირველი იყო პარიზშივე 1928 წლის ნოემბერს. ორი წლის განმავლობაში თ. გიორგი გაიზარდა, გამაგრდა და ახლა სურს გადაავლოს თვალი ამ მოკლე, მაგრამ ნაყოფიერ ხანას თვისის მოქმედებისა და კვლავ იმსჯელოს იმ საკითხებზედ, რომელთა ნათელ-ყოფას იგი ხცდილობდა თავის ორგანოში დღითგან მისის დაარსებისა 1926 წლის აგვისტოს.

თ. გიორგი არ არის უმნიშვნელო მოვლენა, გამოცხადება ახალ-გაზრდათა სნეული პატრიოტიზმისა, როგორც ეს ბევრსა ჰგონია. თ. გიორგი იგივე მოვლენაა, რომელსაც ვამჩნევთ ყველგან, სადაც ერებმა უდიდესი უბედურობა განიცადეს ომითა და რევოლუციით და სადაც კლასსობრივი დიქტატურის პოლიტიკურნი პარტიანი, წაქეზებულნი რუსეთში გამარჯვებული ბოლშევიზმის მაგალითით, განადგურებით ემუქრებოდენ და ემუქრებიან დღესაც მროვნულ კულტურასა და ერთობ ცხოვრებას. თუ რუსეთში არ აღმოჩნდა საკმარისი ძალა, რომ რუსის ერს ან თავითგანვე შეუძლებელ ექყო ბოლშევიზმი, ან მისი ხან-მოკლე ბატონობის შემდეგ დაემხო იგი და ეხსნა ერი განადგურებისაგან, ევროპის ერებს აღმოჩნდათ უზარმაზარი ძალა მოქმედებისა და მორსმეჭვრეტმლობა, რომ თავი ეხსნათ კარზედ მომდგარი უბედურობისაგან, და დღეს ვეღარსად ვეღარ გაიმარჯვებს ეგრედ წოდებული პროლეტარული რევოლუცია და დიქტატურა. როდესაც ბერლინში როზა ლუქსემბურგი და ლიბკნეხტი, რომელნიც «გაბატონებულ» კლასთა წევრთა «მხეცურად» დაგლეჯას ჰქადაგებდენ, ბრბომ ქუჩაში თვითონ იგინი დაგლიჯა, ეს მაჩვენებელი იყო დიდი კულტურული ერის თავდაცვის ინსტინქტისა. მაშინ დამარცხდა ბოლშევიზმი საბარადისოდ გერმანიაში და ამავე სულის-კვეთებამ ამოაგდო იგი ძირიან-ფესვიანად ბავარიაში. ასევე დაიცვა თავი ავსტრიამ, უნგრეთმა და სხვა ქვეყნებმა ამ საშინელი განსაცდელისაგან, ხოლო იტალიაში მუსსოლინიმ მთელი ერი შეაკავშირა ერთი დიდი და ნათელი იდეით ეროვნული ერთობისა, რამაც ბოლშევიზმის უფსკრულის ნაპირას მდგარი ქვეყანა არა მარტო დაღუპვისაგან იხსნა, არამედ შეჰქმნა კოორდინაცია ეროვნულ ძალთა, გაუხსნა ერს ფართო გზა შემოქმედებისა, განაძლიერა იგი და აქცია იტალია ისეთ ძლიერ სახელმწიფოდ, როგორიც იგი არაოდეს ყოფილა. ამ მოძრაობას სხვა და სხვა ქვეყნებში სხვა და სხვა სახელწოდება აქვს, იგი ერთ ქვეყანაში ერთნაირად გამოცხადდება და მეორეში სხვანაირად, თანახმად ერის თვისებათა და მისი ცხოვრების პირობათა, მაგრამ მიზეზი და მიზანი მისი ყველგან ერთია, —ერის ყველა ელემენტთა შეერთებით, მათ შორის უთანხმოებათა მორიგებით დაცვა მისი და ახალი გზებით განვითარება, ცხოვრების ახალ ფორმათა შექმნა. ამ მოძრაობის ნიადაგზედ წარმოიშვა ახალი იდეები, ახალი პოლიტიკური წარმოდგენები, რომელნიც საფუძვლად დაედებიან მომავალ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებას ევროპაში. და თუ აგრეთვე დარაზმულმა მოწინააღმდეგე ძალებმა სამოქალაქო ომი გამართა, იგი დამარცხდება, ვინაითგან მის წინააღმდეგ მთელი ერია განურჩევლად კლასსთა და ვერც ერთი კლასსისა და ვერც ერთი პარტიის დიქტატურასა და ტერრორს იგი ვერ აიტანს. ერები ევროპისა, მთელი კულტურა და ცივილიზაცია მისი, რომელიც ჯერ კიდევ ჯან-მრთელია და უსაზღვრო განვითარების ნიჭის მქონე, რომელსაც არავითარი ნიშანი არ ეტყობა გადაგვარებისა და დაცემისა, თავს იცავს ბარბაროსოგისაგან და ევროპის ერთა გამარჯვების საწინდარიც შეგნებული საფრთხის წინააღმდეგ ამ დიად ბრძოლაშია.

თეთრი გიორგი ქართული სახეა იმ საზოგადო მოვლენისა. იგი არც იტალიური ფაშიზმია, არც გერმანული ჰიტლერიზმი, არც ფრანგული ნაციონალიზმი პატრიოტულ ახალ გაზრდათა. იგი ქართული ეროვნული მოძრაობაა ახალი დროისა, და რა ნაკლიც არ უნდა ჰქონდეს თ. გ.-ის ორგანიზაციას, ან მისს პროპაგანდას, მოქმედებას, იდეათა განცხადების წესს, თვით მოვლენა, მოძრაობა თ. გიორგისა მაინც ახალი მოძრაობაა, რომელიც საქართველოს გვერდს ვერ აუხვევდა. როგორც ყოველი დიდი მოძრაობა, დაბადებული კულტურულ ერთა შორის, ყოველთვის შემოსულა ხოლმე საქართველოში, ისე ამ მოძრაობის ტალღამაც შემოგვკრა ჩვენ, მაგრამ როგორც ყველგან, მან ჩვენშიაც ეროვნული სახე მიიღო, და ეს მისი მაჩვენებელია, რომ იგი არ არის ჩვენ მიერ უცხოთა წმინდა მიმბაძველობა, არამედ გამომდინარე ჩვენ ეროვნულ საჭიროებათაგან, აღმოცენებული ჩვენი ერის მწარე ცხოვრების ნიადაგზედ. ქართველი ერიც თავს იცავს განსაცდელისაგან და ეძებს ახალს ფორმებს ერის ცხოვრებისა და მისი განვითარებისათვის. აი წყარო თეთრი გიორგის მოძრაობის მომდინარეობისა.

თ. გიორგის იდეა საქართველოშივე დაიბადა და განმტკიცდა უცხოეთში ახალ-გაზრდათა შორის. ახალგაზრდობამ ნათლად დაინახა განთავისუფლებული საქართველოს დაღუპვის მიზეზები,—უპირველესი მიზეზი—სისუსტე ეროვნული იდეისა, სისუსტე «პატრიოტიზმისა». ორმოცი წლის განმავლობაში ებრძოდენ ჩვენში ეროვნულ იდეას ს. დ.-ები. ისედაც სუსტი პატრიოტული ელემენტები ხმლიეს მათ და თვით ჩაიგდეს ხელში განთავისუფლებული საქართველოს მართვა-გამგეობა. მაგრამ გუშინდელ უარ-მყოფელთ საქართველოს თავისუფლებისა არ შეეძლოთ დღეს დაცვა მისი, და საქართველომაც მათის ხელ-მძღვანელობით ვერ შესძლო მთელი თვისი ენერგია შეელია კვლავ კარზედ მომდგარ რუსის ბატონობის უკუ-გდებისათვის და დამარცხდა ისე, რომ უმრავლესობამ ქართველი ერისა არც კი იცოდა, თუ რას მოასწავებდა მისთვის ეს დამარცხება. —მაშასადამე თვითეულმა წევრმა ერისა მთელი ერის ინტერესებს უნდა ანაცვალოს თვისი კერძო და თვისი კლასსის ინტერესები, ეროვნული შეგნება უნდა იყოს უფრო ყოვლისა და არა კლასსიური, ეროვნული იდეა უნდა იყოს უმაღლესი ხელმძღვანელი ერის წევრისა, მოქალაქისა, და მხოლოდ მაშინ შეუძლია ერს თავის დაცვა მტრისაგან, ბრძოლა, გამარჯვება და თავისუფალი არსებობის უზრუნველყოფის შემდეგ—განვითარება «საქართველო უწინარეს ყოვლისა» —აი რა დააწერა ამ ტომ თავის დროშაზედ თ. გიორგიმ, რომლის დამაარსებელთ ეს სიტყვები მწარე გამოცდილებამ, თვალით ხილული უბედურობის უმთავრესი მიზეზის შეგნებამ წარმოათქმევინა. ამით შეუერთდა ახალ-გაზრდა პატრიოტთა ახალი სული ძველს, მამა-პაპათა სულს, შეუდრეკელსა და მეომარს.

სოციალისტების მიერ კლასსთა ბრძოლის ქადაგების ნაყოფმა, მათმა ცდებმა დიქტატურის ხელთა-პყრობისა და მათ ეკონომიურ პროგრამმათა ძალით განხორციელებისა ჩვენში და სხვაგან, ევროპაში და რუსეთში, —ნათლად დაანახვეს ქართველ ახალ-გაზრდა პატრიოტებს, თუ რაზომ დამღუპველი იყო ყოველი ერისათვის ეს ქადაგებაცა და ეს ცდებიც, რაზომ დიდი იყო ზიანი, მათ მიერ მიყენებული ერთადმი, და რაზომ მცირე სარგებლობა. მათ დაინახეს აგრეთვე ერთა ძლიერი დარაზმვა და მოქმედება უკიდურესი სოციალიზმის წინააღმდეგ და ამასთანავე ზომიერ სოციალისტთა მიერ უარ-ყოფა ბევრ ძველ დოგმათა, რომელთა ქადაგება თვით ამ სოციალისტთა აზრით დამღუპველია ერთათვის. და ამიტომ აღიარა თ. გიორგიმ პრინციპი კლასსთა თანამშრომლობისა, კლასსთა შორის უთანხმოებათა მორიგებისა ეროვნულ სახელმწიფოს მიერ, პრინციპი მთელი ერის ეკონომიური მოქმედებისა ერისა და მის შემადგენელ კლასსთა და პიროვნებათა ინტერესების დასაკმაყოფილებლად, საკეთილდღეოდ. თ. გ. არ არის არც პროლეტარიატის, არც ბურჟუაზიის, არც თავად-აზნაურობის, არც სამღვდელოების, არც გლეხების, არც ერთი კლასსის ან წოდების პარტია, არამედ მოსწრაფე ისეთი ეროვნული სახელმწიფოს შექმნისა, რომლის მიზანი უნდა იყოს ყველა კლასსთა და წოდებათა მოქმედების რაციონალურად მიმართვა, ყველა ეკონომიურ ძალთა კოორდინაცია მთელი ერისა და ყოველი მოქალაქის კულტურულ არსებობისა და წარმატების უზრუნველ-ყოფად. ამიტომ სწამს მას საჭიროება ჩვენი ეკონომიური ცხოვრების საქართველოში არსებულ პირობათა მიხედვით მოწყობისა და ამ ცდებით სარგებლობისა, რომელმაც სასურველი ნაყოფი გამოიღო ყოველი კლასსისათვის და მთელი ერისათვის უცხო ქვეყნებშიაც. —თ. გიორგის რწმენა ის არის, რომ ყოველი კლასსი ასრულებს საზოგადოებაში განსაზღვრულ ფუნქციას, რომელიც საჭიროა ერისათვის, და მიზანი ეროვნული სახელმწიფოისა ის უნდა იყოს, რომ ეს ფუნქცია ერის სასარგებლოდ და თვით კლასსის სასარგებლოდაც რაციონალურად აღსრულდებოდეს. თუ რომელსამე წოდებას დაუკარგავს ძველი ფუნქცია, მან ახალი უნდა გამონახოს და ნახულობს კიდეც ყოველთვის. ხოლო დევნა მოქალაქეთა და მათი ამოჟლეტა, რაიცა უკიდურეს სოციალისტთა და მათ მსგავს მოძალადე რევოლუციონერთა საქმე იყო და იქმნება ყოველთვის, როდესაც იგინი ქვეყანას დიქტატორებად მოევლინებიან, თ. გიორგის მცნება და მიზანი არ არის: მისთვის სიცოცხლე, თავისუფლება და უფლებანი უდიდეს თავადისა ან სამღვდელოსი და უმცირესის გლეხისა ან მუშისა ერთგვარად ძვირფასნი არიან და ხწორად დასაცველნი ეროვნული სახელმწიფოსაგან.

თ. გიორგის როგორც ის არა სწამს, რომ ეკონომიური განვითარების რაღაც «ბრმა» კანონთა ძალით პროლეტარიატს უნდა ჩაუვარდეს ხელში კულტურული კაცობრიობა სადიქტატუროდ (ე. ი. დემაგოგებს საძიძგნად და სატერრორდ, თორემ თვით პროლეტარიატის სურვილი არ არის არსად ასეთის დიქტატურისა), არა სწამს არც ის, რომ ერთი განსაზღვრული ფორმა არსებობს მხოლოდ კულტურულ ერთა პოლიტიკური ცხოვრებისა, რომელიც ზეგარდმო მირონცხებულია და მისაღები, ხოლო ყოველი სხვა ემმაკისაგან მომდინარეობს. მის აზრით ისეთი პოლიტიკური ფორმაა სასარგებლო და მისაღები ერისათვის, რომელიც შეეფერება ერის სულიერ თვისებათა, მისი კულტურის განვითარების დონეს, მისს ტრადიციებს, მისს წარსულსა და აწმყოს. ერთს ერს ერთი შეეფერება, მეორეს—მეორე. ინგლისში ჯერეც მონარქიაა და საფრანგეთში დიდ ბრძოლათა შემდეგ რესპუბლიკა განმტკიცდა. ორივეს თავისი ისტორია აქვს და ორივე შეეფერება იმ ერებს, სადაც ისინი წარმოიშვენ და განმტკიცდენ. ხოლო გერმანიაშიაც რესპუბლიკაა, მაგრამ იგი არა ბუნებრივი, დამარცხებით გამოწვეული რევოლუციის ნაყოფია და ამიტომ შეუფერებელი გერმანიის ერის სულისათვის, ტრადიციათათვის, უპატიო და უავტორიტეტო. ზოგს ფანატიკოსს რევოლუციისა რესპუბლიკა თავისთავად ჰგონია უმაღლესი ფორმა პოლიტიკური ორგანიზაციისა, ვიდრე მონარქია, რათგანაც საფრანგეთის დიდი რევოლუციის ლოზუნგები აქვს თავში. მაგრამ ავიწყდება ის, რომ ამ ლოზუნგებს ფრანგისათვის აქვს მნიშვნელობა, ხოლო ინგლისელისათვის არავითარი. უკანასკნელისათვის იმ პოლიტიკურ დაწესებულებათა ისტორიას აქვს მნიშვნელობა, რომელნიც ინგლისის ერმა შეჰქმნა ბრძოლით ინგლისელის პიროვნების თავისუფლების უზრუნველყოფად და ინგლისის ერის საკეთილდღეოდ და მისი კონსტიტუცია მონარქიითურთ კიდევ უფრო აკმაყოფილებს მას, ვიდრე რესპუბლიკა და მისი კონსტიტუცია ფრანგს. თ. გიორგიმ ეს იცის და მისი აზრით პოლიტიკური ფორმა საქართველოს სახელმწიფოსი ისეთი უნდა იყოს, როგორიც საქართველოს უფრო შეეფერება, და არა განსაზღვრული რომელიმე მხოლოდ იმიტომ, რომ იგი სადმე ამა თუ იმ ერს რევოლუციით შეუქმნია, ან მონარქის სკიპტრის ქვეშ განვითარებულა. — თუ კი აგრეთვე თ. გიორგი ძლიერის ეჭვის თვალით უყურებს იმ დემოკრატიულ წესს კანონმდებლობისა და მართვა-გამგეობისა, რომელიც არსებობს სხვა ქვეყნებში და რომლის მსგავსიც საქართველოში იყო დამოუკიდებლობის დროს და ჩვენ დემოკრატიულ პარტიებს სურსთ კვლავ შეიტანონ, ოდეს საქართველო აღიდგენს დაკარგულ დამოუკიდებლობას, ეს იმიტომ, რომ არსებული სისტემა დემოკრატიული წეს-წყობილებისა ყველგან გადასასინჯავი გახდა; იგი არ არის «დემოკრატიული», არამედ ნამდვილად ცრუ-დემოკრატიული, და ჩვენი ქვეყნისათვის უფრო სასარგებლო და შესაფერისი იქმნება ის განახლებული დემოკრატიული სისტემა წეს-წყობილებისა, რომლის შემოღებამაც სასურველი ნაყოფი უკვე გამოიღო და გამოიღებს ყველგან, სადაც იძულებულნი იქმნებიან შემოიღონ იგი, რომ ხალხური წყობილება მართლა განხორციელდეს და არ იყოს უფრო სიტყვა, ვიდრე საქმე, როგორც ეს აქამდე იყო. —ბოლოს, თ. გიორგი მომხრეა დეცენტრალიზაციისა და წინააღმდეგი ცენტრალიზმისა საქართველოში, რათგანაც სწორედ ცენტრალიზმი შეუშლის ხელს ნამდვილ ეროვნულ ერთობას ქართველი ერისა და საქართველოს კუთხეთა კულტურულ განვითარებას, ხოლო ფედერატიული საქართველო შეჰქმნის ნამდვილ ერთობას ერისა, კულტურულ ცენტრებს საქართველოს ყოველ კუთხეში და გაადვილებს მთელი კავკასიის ერთა კონფედერაციის შექმნასაც.

თ. გიორგის სწამს, რომ სარწმუნოება ისეთი მოვლენაა, რომელიც მუდამ იქმნება ადამიანთა საზოგადოებაში. გრძნობა სარწმუნოებრივი უდიდესს მეცნიერსაც აქვს, უმცირესს უმეცარსაც. სარწმუნოება სხვა სფეროს ეკუთვნის ადამიანის სულიერი ცხოვრებისა, ვიდრე მეცნიერება. მათ შორის წინააღმდეგობა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც სარწმუნოება მეცნიერების ადგილს იჭერს. ხოლო ეს იყო წინად. ახლა კი მათი სფეროები განყოფილია და წინააღმდეგობა მათ შორის ნამდვილად აღარ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. რაც დღეს მათ შორის წინა ღმდეგობად მიაჩნიათ, ეს არის სწორედ ნაშთი ძველ სარწმუნოებრივ შეხედულებათა, —იმ დროისა, როდესაც მეცნიერება არ არსებობდა და სარწმუნოების სისტემა იყო მაშინდელი «მეცნიერების» სისტემა. ამიტომ შორს არის თ. გიორგი სარწმუნოების დევნისაგან, რაიცა შეურაცხ-ყოფაა ადამიანის უწმინდესი გრძნობისა. —სარწმუნოებასთან კულტია დაკავშირებული, ხოლო კულტთან ეკლესია. თეთრ-გიორგის სწამს თავისუფლება კულტისა და მიაჩნია საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია უდიდეს ეროვნულ ძალად, რომლის ქრისტიანობა ძველთაგან არის ცნობილი. კულტურული როლი მისი დიდი იყო წარსულში და მომავალში მან ცხოვრების ახალ პირობათა მიხედვით იგივე კულტურული როლი უნდა აღასრულოს, ქართველთა შორის მან ნამდვილნი ქრისტიანულნი, სახარების მაღალნი ზნეობრივნი მცნებანი და პატრიოტიზმი

უნდა განამტკიცოს, როგორც ეს იყო ძველი მისხია მისი. —პატივის-ცემა და დაცვა სხვა სარწმუნოებათა თავისუფლებისა საქართველოში აგრეთვე მოვალეობაა თ. გიორგისა.

აი ამ საგნებზედ უფიქრია თ. გიორგის თვისის არსებობის განმავლობაში, უწერია და მსჯელობა ჰქონებია, და მათი კვლავ განხილვისათვის იკრიბება იგი მეორედ. შეცდომათაგან არავინ მიწიერი თავისუფალი არ არის და მათაც ისე პირდაპირ აღიარებს თ. გიორგი, როგორც ყოველ თავის აზრს პირდაპირ და უშიშრად გამოსთქვამს, ვინაითგან იგი არ არის ფანატიკოსთა კრებული, ბრმად მიმდევარი რომელიმე შეუცდომელად აღსარებული «პროგრამმისა».

მ. წერეთელი.

## დეცენტრალისტური საქართველო და კავკასიის კონფედერაცია

ზოგიერთს დეცენტრალიზაცია მთლიანობის დამრღვევად მიაჩნია. ეს ღრმა შეცდომაა და საქართველოს წარსულისა და აწმყოს დიდი უვიცობა.

ეროვნული მთლიანობის უდიდესი დამრღვევი სწორედ ცენტრალიზმია იქ, სადაც, საქართველოსავეთ ეროვნული ვითარების ობიექტიური პირობები დეცენტრალიზაციას გვიკარნახებს. განა შეერთ. შტატებში, გერმანიაში და შვეიცარიაში ეროვნული მთლიანობა დარღვეულია? განა უკიდურესად ცენტრალისტურ რუსეთში (ეთნოგრაფიული რუსეთი მყავს მხედველობაში) ამ სამ ქვეყანაზედ უფრო დიდი ეროვნული შეგნება არსებობდა, ან ხალხის ერთ ეროვნულ სხეულად შემკონავნი უმეტესნი და უმაღლესნი კულტურულნი საშუალებანი იყვნენ იქ?

ეროვნული და პოლიტიკური მთლიანობის განმამტკიცებელი ის პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც ერის სულიერ და ნივთიერ წარმატებას, ე. ი. პროგრესს უფრო ნაყოფიერად შეუწყობს ხელს. საქმე სწორედ ის არის, რომ ყოველი ერი შემოსილ იქმნეს იმ პოლიტიკური სამოსლით, რომელიც მის სხეულს უფრო შეეფერება.

და პოლიტიკურ მოღვაწეთა მთავარი ამოცანაც ის არის, რომ იმისთანა პოლიტ. ფორმები შექმნან, რომელნიც უფრო შეეგუება ერის ბუნებას, მის ცხოვრებას, და რომელთა ფარგლებში ერი უფრო ადვილად შესძლებს განვითარებისა და ძლიერების მიღწევას.

დეცენტრალიზაცია არა მხოლოდ ეროვნული მთლიანობის, არამედ აგრეთვე პოლიტიკური მთლიანობისაც ძლიერი განმამტკიცებელი ფაქტორია. კონფედერაცია, დეცენტრალიზაცია ისეთი მოქნილი ფორმაა, რომ ეთნიურად უცხო ელემენტებსაც კი აკავშირებს ხოლმე. ხოლო იქ, სადაც, როგორც საქართველოში, ეთნიურ-კულტურული მთლიანობა არსებობს, დეცენტრალიზაცია პოლიტიკურ მთლიანობას მხოლოდ განამტკიცებს და გააძლიერებს. საქართველო ეთნიურ-კულტურულად მართლაც იშვიათად მთლიანი ქვეყანაა. მაგრამ მის წიაღთა შინა არსებობს პროვინციალური სხვა და სხვა ფეროვნება. მის ყოველ კუთხეს ბუნების მიერ შექმნილი და ისტორიის ხელით გამოჭედილი, გამოქანდაკებული ორიგინალური სახე აქვს. ეს მოვლენა ეროვნული ძვირფასი განძია, რომელიც ეროვნულ-პოლიტიკურ მთლიანობას არამც თუ არ ეწინააღმდეგება, არამედ, რამდენად მეტად განვითარდება და გაძლიერდება ადგილობრივი კულტურა, რამდენადაც მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრად გარდაიქცევა ყოველი კუთხე საქართველოისა, იმდენად მეტად გამდიდრდება და აბრწყინდება ეროვნული კულტურა და განმტკიცდება საქართველოს სახელმწიფო. საბოლოოდ ყველა ჩვენ კუთხეთა და ეთნიურ ნაწილთა კულტურულ თავისებურებათა კრებული ერთ ეროვნულ მთლიან კულტურას შეადგენს, ყოველი ჩვენი კუთხის კულტურული ძლიერება საერთო სახელმწიფოს ძლიერებას შეჰმატებს. განა საბოლოოდ საქართველოს ყველა პროვინციალურმა კულტურულმა და პოლიტიკურმა შემოქმედებამ, მათმა ნივთიერმა წარმატებამ, შრომის, ნიჭის, ინიციატივის ნაყოფმა ეროვნულ საერთო წიაღში არ უნდა მოიყაროს თავი და საყოველთაო კუთვნილებად, ხალხის საუნჯედ და სიამაყედ არ უნდა შეიქმნეს? ნუ თუ უმჯობესი არაა, იმის მაგიერ, რომ სატახტო ქალაქმა, ცენტრმა, პროვინციები დაჩრდილოს, მათი ნიჭი და ინიციატივა ამოახშოს, მათ შემოქმედ ძალებს გასაქანი მოაკლოს, როგორც ამას ცენტრალისტურ ქვეყნებში აქვს ადგილი, საქართველოს ყველა კუთხეში კულტურის ძლიერი ლამპარი დაენთოს, რომ ქუთაისი, ბათომი, თელავი, სუხუმი, ზუგდიდი, ოზურგეთი მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრებად შეიქმნენ? განა ეს ჩვენს ეროვნულ კულტურას არ შემატებს და არ გაამდიდრებს? ცენტრალიზმი კი ყველა შემოქმედ ძალებს ფრთას შეჰკვეცავს, ეროვნულ კულტურას დააქვეითებს და მის პოლიტიკურ მთლიანობას ჩვენში უფრო დაასუსტებს, თუ არ დაარღვევს.

რაც შეეხება კავკასიას, ცენტრალისტური საქართველო მის კონფედერატიულად მოწყობას მხოლოდ ხელს შეუშლის. ყოველ ერს, ყოველ ხალხს თავისი დამახასიათებელი რაიმე განსაკუთრებული მხარე აქვს, რომელს, როგორც პოლიტიკური მოძრაობა, აგრეთვე სახელმწიფოს კონსტიტუცია ანგარიშს უნდა უწევდეს. კავკასიის უდიდესი დამახასიათებელი მხარე ისაა, რომ მის წიაღთა შინა დიდი სხვა და სხვა ფეროვნება არსებობს ხალხთა. ვინც ეს არ უწყის, ის კავკასიას არ იცნობს. ამიტომ პოლიტიკური ორგანიზაცია, როგორც საქართველოის გრძლივ, ისე კავკასიისა საერთოდ, ამ მოვლენასთან შეგუებით და მასზედ დამყარებით უნდა მოეწყოს.

კავკასიის პრობლემას ჩვენი პოლიტიკური პარტიები ძალიან დაგვიანებით მიხვდენ. ეს კიდევ დიდი ჭირი არ იქნებოდა, დღეს მაინც რომ სწორედ უდგებოდენ მას საქმეს ქართ. პარტიების ბელადებს ამ საკითხის შინაარსი კი არ აინტერესებთ, არამედ მისი დეკორატიული მხარე. ისინიც ხელოვნურ კავკასიურ ფრონტის შედგენით მათ [illegible] კავკასიის მთლიანობის სურათი მოაჩვენენ.

კავკასიის კონფედერაციისადმი სწორე მიდგომა მხოლოდ დეცენტრალისტურ საქართველოს მხრივაა შესაძლებელი. მხოლოდ დეცენტრალისტურ საქართველოს ძალუძს კავკასიის შემოკრება.

როდესაც კავკასიის კონფედერაციის პრობლემას ვეხებით, ქართველთა წინაშე უპირველესად ჩრდილოეთი კავკასიის საკითხი ისმის. ჯერ ერთი იმიტომ, რომ რუსეთის წინააღმდეგ (მე ვამტკიცებდი ამას დამოუკიდებლობის დროს და ეხლაც ვიმეორებ) საქართველოს სტრატეგიული წერტილი თერგის ხაზია და არა ყარაიაზ-ფოილო-ტაბახმელა. მერე იმიტომ, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან უფრო ვართ დაკავშირებული რასიული და კულტურული ნათესაობით, ვიდრე კავკასიელ სხვა მეზობლებთან. ამიტომ კავკასიის კონფედერაციის საქმე ქართველთა და ჩრდილოეთ კავკასიელთა კავშირით უნდა დაიწყოს.

ხოლო თუ საქართველოს შინაურობაში მხოლოდ პროვინციალური სხვა და სხვა ფეროვნება არსებობს, ჩრდილოეთ კავკასიაში დიდ ეთნიურ სხვა და სხვაობას აქვს ადგილი. დაღესტნელები, ჩაჩნები, ყაბარდო-ჩერქეზები, ყარაჩაელები სულ სხვა და სხვა ერებს წარმოადგენენ და სხვა და სხვა ენებზედ ლაპარაკობენ. დაღესტნელი თითქმის იმდენადვე განსხვავდება ჩაჩნისაგან, რამდენადაც ქართველისაგან. თვით დაღესტანი 27-ზედ მეტ კუთხეში სხვა და სხვა დიალექტზედ ლაპარაკობს. ისტორიულ და მეტადრე გეოგრაფიულ ვითარებას ისე დაუშორებია დაღესტნის თემები ერთი-ერთისაგან, რომ მაგალითად ანდში, ბოთლიხში და სხვაგან ხშირად ვერც კი გეტყვიან, სად სცხოვრობს და რას წარმოადგენს დაღესტნის უდიდესი და ძლიერი ტომი ყაზი-ყუმუხი. დაღესტნის თვით დიდი და ცნობილი ტომები: ავარელები, ყაზი-ყუმუხები, კუმიხები, დიდოელები არა მხოლოდ მათი დიალექტებით განსხვავდებიან ერთი ერთისაგან, არამედ ზნე ჩვეულებებით და კულტურითაც.

ის, რასაც ეწოდება ჩაჩნეთი, სამ ნაწილად იყოფა: თვით ჩაჩნეთი, ინგუშეთი და ქისტეთი. ამ სამ ეთნიურ ელემენტთა შორის, თუმცა იგინი ერთ ჩაჩნურ ჯიშს წარმოადგენენ, უფრო დიდი განსხვავებაა, ვიდრე ინგილოსა და მეგრელს შორის. თვით ჩაჩნეთი იყოფა მთის და ვაკის ჩაჩნეთად და ამ ორ ნაწილთა შორისაც განსხვავება თვალსაჩინოა.

რაც შეეხება ოსებს და ყარაჩაელებს, მათ არავითარი საერთო არა აქვსთ კავკასიის არც ერთ ხალხთან და ურთიერთისაგანაც რასიულად თუ ეთნიურად საკმაოდ განირჩევიან. ოსები ეკუთვნიან ინდო-ევროპიულ რასას და ყარაჩაელები კი მონღოლურს.

ამნაირ აჭრელებულ ქვეყანაში ცენტრალიზმის დამყარება ნამდვილი ბაბილონის კოშკის აგება იქმნება, რომელიც ისევე დამთავრდება დანგრევითა და განხეთქილებით, როგორც დამთავრდა ამ ბიბლიური კოშკის და მის ამგებთა საქმე. არა, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ერთ სახელმწიფოში თავის მოყრა, ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციაში მოთავსება, მათ კულტურათა ერთნაირ სინთეზის შექმნა და სახელმწიფოებრივ მთლიანობის განმტკიცება მხოლოდ კონფედერაციას ძალუძს.

ხოლო, შეიქმნება რა ერთის მხრით ჩრდილოეთ კავკასიის კონფედერაცია და მეორე მხრით დეცენტრალისტური საქართველო, ამ ორი ქვეყნის ერთსა და იმავე კონფედერატიულ სახელმწიფოში შეერთების საკითხი ბუნებრივად დაისმის და ბუნებრივადვე გადაწყდება.

რაც შეეხება აზერბეიჯანს, ამ ქვეყანასთან კონფედერატიული კავშირის შეკვრის საკითხი მეტად რთულია შემდეგი გარემოებით: აზერბეიჯანელები ეთნიურად თურქების მონათესავე ხალხია, თურქულად ლაპარაკობენ, და კავკასიის ხალხებს რასიულადაც კი არ ენათესავებიან და კულტურულადაც მათგან შესამჩნევად განსხვავდებიან. ამიტომ მათი ბუნებრივი მიდრეკილება ოსმალეთისადმია და ეს გასაგებიცაა. კავკასიის აზერბეიჯანი, სპარსეთის აზერბეიჯანი, თურქესტანი და ოსმალეთი რასიულად და ლინგვისტიურად ერთი და იგივე ქვეყანაა. მათ ურთიერთისადმი მიმზიდველობას კიდევ ის გარემოება უწყობს დიდად ხელს, რომ გეოგრაფიულად არიან იგინი გადაბმულნი. ეროვნული შეგნების განვითარებასთან ერთად არ შეიძლება ამ ხალხებში არ გაიზარდოს აწ უკვე დაბადებული იდეა დიდი გაერთიანებული ოსმალეთის შექმნისა. ამნაირად ახლავე ჩასახულია იმ პოლიტიკის დიდი ხაზები, რომლის სფეროში აუცილებლად უნდა შევიდეს აზერბეიჯანი. სინამდვილეზედ თვალების დახუჭვა სისუსტის მაჩვენებელია, რაც ჩვენ პოლიტიკურ პარტიებს სჩვევიათ. ჩვენი მოვალეობაა კავკასიის ვითარების სურათი მთელი მისი სინამდვილით დავუხატოთ კავკასიელთა საზოგადოებას.

ზემო მოყვანილ მოსაზრებათა გამო აზერბეიჯანის საკითხი კავკასიის კონფედერაციის მხრივ მხოლოდ კავკასია-ოსმალეთ-აზერბეიჯანის პოლიტიკურ დამოკიდებულებათა რკალში შეიძლება გადაწყდეს. ამიტომ მისი განსაზღვრა, თუ როგორი იქმნება საქართველოს და აზერბეიჯანის საერთო პოლიტიკური ბედი, ეხლა შეუძლებელია, ვინაითგან ეს საკითხი დიდადაა დამოკიდებული საერთაშორისო პოლიტიკის მომავალი განვითარებისაგან.

სომხეთის საკითხს შევეხები შემდეგ.

ლეო კერესელიძე.

## ჩვენი ნაციონალიზმი

ქართული პოლიტ. პარტიები სამარცხვინოდ დამარცხდენ: მათ ვერ დაიცვეს საქართველო და მტერს ჩააბარეს იგი; 1924 წელს სრულიად მოუმზადებლებმა ააჯანყეს ქართველი ერი, რასაც მოჰყვა ათასობით რჩეულ ქართველთა „დაკლვა“ და ჩვენი ქვეყნის უდიდესი ნივთიერი და სულიერი დაზარალება.

ამ დამარცხებულ პარტიებს არც შეუძლიათ ხალხის ხელმძღვანელობა და არცა აქვსთ ამისი უფლება. თუ უწინ ქართ. ხალხის ინტერესებს ვერ უპასუხებდენ თავიანთი იდეური და პოლიტიკური შინაარსით, დღეს საქართველოში შექმნილი ახალი სულისკვეთებისა და ვითარების გარეშე დარჩენ იგინი სრულიად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭირო იყო ახალი ძალა, რომელსაც [illegible] გზაზედ უნდა დააყენოს. ამ ახალ ძალად თ. გიორგი [illegible] წარმოშვა საქართველოს ცხოვრების დღევანდელმა სინამდვილემ და მისი ინტერესების საჭიროებამ.—

ხუთი წელიწადია რაც თ. გიორგი აქტიურ მოქმედების ასპარეზზედ გამოვიდა, მაგრამ უკვე დიდია და მრავალმნიშვნელოვანი შედეგები მისი მოღვაწეობისა. ძნელია აღნუსხვა ყოველივე იმისი, რაც თ. გიორგის მოძრაობამ შეჰქმნა. თუ ადვილია იმისი შეფასება, რაც ხელშესახებია, პირიქით, ძნელია იმისი შეფასება, რაც თ. გიორგიმ პატრიოტულ შეგნებისა და აზროვნების სფეროში შეიტანა. ხოლო ყველაზედ უფრო ადვილი შესაფასებელია თ. გიორგის მოღვაწეობის ერთი მხარე. ყოველ ეოს მრავალ პრინციპთა შორის აქვს ერთი რომელიმე მთავარი პრინციპი, რომელზედ მთელი მისი ცხოვრება აგებული. ეს პრინციპია მისი უმთავრესი მამოძრავებელი და ცხოველმყოფელი ძალა. ინდოელთა ეს პრინციპი სარწმუნოებაა, ანტიურ რომში სამართალი და სახელმწიფო იყვნენ, საქართველოში კი მთავარი პრინციპი იყო პატრიოტიზმი. ეს უზენაესი პრინციპი იყო ჩვენი ცხოვრების ლეიტ-მოტივი, საქართველოს ვითარების დედა-ძარღვი.

რუსების ბატონობამ ქართულ პატრიოტიზმს მოუსპო მისი უმთავრესი რეალური გამომჟღავნება: სახელმწიფოებრივი შემოქმედების ასპარეზი; დანარჩენი ასპარეზები კი დიდად შეუზღუდა. ჩვენი სოციალისტური პარტიები საერთაშორისო ლოზუნგებით გამოვიდენ, რაც ისედაც დაქვეითებული პატრიოტული შეგნების ნგრევას უდრიდა. ეროვნულმა დემოკრატებმა ქართველ ხალხს ეროვნული იდეა ვერ მისცეს და მის წინაშე რუსულად შეგნებული დემოკრატიული იდეებით წარსდგენ. ისიც კი ვერ უთხრეს, რომ ეროვნულ არსებობისათვის დამოუკიდებლობა იყო აუცილებელი.

სოციალ-დემოკრატებმა ხომ ჩვენი ხალხის პოლიტიკური ენერგია მთლად სოციალისტურ-კომმუნისტურ შემოქმედების სფეროში გადაიტანეს და ეროვნულ გზას სრულიად ააცილეს იგი.

ამნაირად ქართველი ხალხის პატრიოტული შეგნება დიდად დაეცა. შედეგი ამისა ყველამ ვნახეთ და ქართველმა ხალხმა საკუთარ ზურგზედ იგრძნო. ერი, რომელიც ჰკარგავს თავისი არსებობის მთავარ პრინციპს, განწირულია. პატრიოტიზმს მოკლებული ხალხი ეროვნულად გადაგვარდება, და კიდეც იდგა ჩვენი ერი გადაგვარების გზაზედ, რაის დამამტკიცებელი ის ფაქტია, რომ მისი წიაღითგან წარმოიშვენ სოციალ-დემოკრატიული პარტია და იმისთანა პოლიტიკურნი მოღვაწენი, როგორნიც არიან სტალინი, ორახელაშვილი, ორჯონიკიძე, რამიშვილი და სხვები.

ამიტომ, უწინარეს ყოვლისა საჭიროა საქართველოში პატრიოტიზმის აღდგენა მთელის მისის მთლიანობით. დამოუკიდებლობის დაკარგვამ ქართველ ხალხს პატრიოტული გრძნობა გაუღვიძა. ხოლო საჭიროა ამ ახლად გაღვიძებული ეროვნული შეგნების გაღრმავება, მისი თეორიული დასაბუთება: პატრიოტულ გრძნობის ქცევა შეგნებულ და ჩამოყალიბებულ ნაციონალიზმად, ე.ი. ეროვნული იდეოლოგიის შექმნა. ეს ეროვნული პრობლემა თ. გიორგიმ ღრმად შეიგნო და ამიტომ კიდევაც შეჰქმნა მთლიანი ეროვნული იდეოლოგია. მან ქართველ ხალხს მისცა ი ნ ტ ე გ რ ა ლ უ რ ი ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ ი. ეს უკვე დიდი, უზარმაზარი საქმეა, რომლის ღირებულებას და მნიშვნელობას სავსებით მხოლოდ მომავალი დააფასებს.

ამნაირად თ. გიორგიმ უკვე დიდი განძი შეიტანა საქართველოს ეროვნულ სალაროში. დიახ, ეროვნული იდეოლოგია უკვე შექმნილია და ის გახდება ქართველი ხალხის გზის მაჩვენებელ ლამპრად. თ. გიორგის მიერ შექმნილი ეროვნული იდეოლოგია შემოიკრებს მთელ ქართველ ხალხს ეროვნული მთლიანობის პრინციპის გარშემო. ამას მომავალი გვიჩვენებს.

სოლომონ მაჭავარიანი.

* * *

[redacted]

# სოციალ-დემოკრატები და დამოუკიდებლობა.

2

## ირაკლი წერეთლის სიტყვები.

ბატონმა ირაკლი წერეთელმა სოც. დემოკრ. პარტიის სახელით დამოუკიდებლობის შესახებ კავკასიის სეიმში სამი ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა.

ეს სიტყვები საქართ. მთავრობამ ფრანგულად გადაათარგმნინა და 1919 წელს პარიზში დააბეჭდინა პატარა წიგნაკად: «Discours prononcés à la Diète Transcaucasienne par Irakli Tséréthéli».

თავის სამ სიტყვაში ბ-ნი ი. წერეთელი ტყავიდან ძვრება იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველოს და მეტადრე სოც. დემ. პარტიას დამოუკიდებლობა არა დროს არა სურვებიათ. თუ სოციალ-დემოკრატები იმ უკიდურესობამდე მივიდენ, რომ დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, ამ დანაშაულში (ამას დანაშაულად რაცხს ბ-ნი წერეთელი) ისტორიის, დემოკრატიის და საერთო სამშობლოს, რუსეთის წინაშე ბრალი ბოლშევიკებს ედებათ.

აი სიტყვა სიტყვით, რას ამბობს ბ. ი. წერეთელი ერთ თავის სიტყვაში: „... მე ვსთქვი, რომ გარეშე ძალები მოქმედებდენ მეთქი და ამ გარეშე ძალთა შორის, რომელნიც გარეშე კავკასიის დემოკრატიისა მოქმედებდენ, იყო ერთი, რომელმაც გადამწყვეტი როლი ასრულა და რომელმაც აიძულა ეს დემოკრატია დამოუკიდებლობის გზას დასდგომოდა. ეს ძალა ბოლშევიზმია“.

აი, აშკარად და ნათლად ნათქვამი, რომ სოც. დემოკრატებმა დამოუკიდებლობა იძულებით გამოაცხადეს, რათგან სხვა გამოსავალი არ მოეპოვებოდათ.

ქვემოდ განაგრძობს იგი: „ბოლშევიკების უდიდესი დანაშაული ის იყო, რომ მათ გვაიძულეს რუსეთს გამოვყოფოდით.„

განა გონება-სალი ადამიანი ამისთანა რასმე იტყვის? ბოლშევიკებმა მილიონობით ადამიანები ამოხოცეს, ცოცხალი ადამიანები ცეცხლზედ დასწვეს, ქალებს და ბავშვებს ნამუსი აჰხადეს, ქვეყნები გაჰქურდეს, გასცარცვეს, დასწვეს და, წერეთლის აზრით, ყოველივე ეს არაფერია შედარებით იმ დიდ დანაშაულთან, რომელიც მათ ჩაიდინეს მით, რომ იმისთანა რუსეთის მოტრფიალე და რუსეთის მუჟიკის იდეოლოგი, როგორც ი. წერეთელი ბრძანდება, აიძულეს რუსეთს მოშორებოდა, მოსკოვიას მკერდითგან წააგლიჯეს ძალით და მისსა და რუსეთს შუა სამზღვარი დასდვეს! აი რა დიდ ცოდვად და დანაშაულად სთვლიდენ სოც. დემოკრატები საქართველოს დამოუკიდებლობას!

ცინიზმი ამაზედ შორს ველარ წავა.

იმავე სიტყვაში რუსის „სოვეტების“ ტრიბუნი, ი. წერეთელი განაგრძობს: „მე მწამს, მოქალაქენო, რომ იმისთანა ძლიერი ბუმბერაზი, როგორიც რუსეთია ამ სასიკვდილო მუჯლუგუნს გადიტანს (ე.ი. ბოლშევიზმს) და ახალი ცხოვრებით აღსდგება ... სწორედ ამ ტრაღიკულ მომენტში ჩვენ იძულებულნი ვიყავით ბოლშევიკების ხელის-უფლებას გამოვყოფოდით“.

როგორ დასტირის ტანჯულ რუსეთს! ალბათ ამ სიტყვების დროს თვალებში ცრემლები მოსდიოდა და ყელში ბოღმა აწვებოდა. მას სწამს, რომ ბუმბერაზი კვლავ მთელი თავისი, ილია მურომეცული ძალით წარმოსდგება. მაშინ საქართველოს დამოუკიდებლობის მიზეზიც მოისპობა და ბ. წერეთელი შენატრის იმ ბედნიერ დღეს, როდესაც სოც. დემოკრატია კვლავ რუსის მუჟიკს ჩაეხუტება გულ-მკერდში!

თავის სიტყვებში წერეთელი რამდენჯერმე ბრძანებს: „ჩვენ გვწამდა რუსეთი, როგორც კავკასიის ყველა ხალხების სამშობლო“. და მის სიტყვებს ყველა დამსწრე სოციალ-დემოკრატი დეპუტატები ალტაცების მხურვალე ტაშით ეგებებიან. და, ჰოი სირცხვილო! ჩვენი მთავრობა წერეთლის წიგნაკში აღნიშნულ ამ დაცემას და გათახსირებას სიამაყით, ხაზგასმით აღნიშნავს. შეეძლო ამისთანა პარტიას და მთავრობას ქვეყნის დაცვა?

რუსეთი კავკასიის ხალხთა საერთო სამშობლოაო! არ იციან ამმართლაც მარქსისმიერ გაუბედურებულმა ადამიანებმა, რომ ამ „სამშობლომ“ ჩერქეზების მთელი ერი ამოჟლიტა, ერთი მილიონისული შემუსრა, მათგან 600 000 ოსმალეთს განსდევნა და მათი ტერიტორია რუსის მუჟიკებით დაასახლა; დაღესტან-ჩაჩნეთ-ინგუშეთ-აფხაზეთ-ყარაჩაის-ქისტეთის მცხოვრებთა ნახევარი ამოსწყვიტა; მხოლოდ დაღესტანში 300 000 დღიური ტყე დასწვა, ასობით სოფლები და დაბები დაანგრია, ქალებს ნამუსი აჰხადა; საქართველოს მთელი ოცი წელიწადი სისხლი ადინა, საუკეთესო შვილები ამოუხოცა, ძაღლებივით ჩამოახრჩო, ხიშტებზედ ააგო, ქალებს და უსუსურ ბავშვებს ნამუსი აჰხადა და მთელ ასი წლის განმავლობაში ისე გადააგვარა ქართველი ხალხი, რომ რომ მან წერეთლის მსგავსი სამშობლოს უარმყოფელი ტიპები მრავლად წარმოშვა?!

არ იცის ბატონმა წერეთელმა, რომ, რა სახითაც არ უნდა აღსდგეს რუსეთი, ვინც არ უნდა იყოს მის სათავეში, დემოკრატია იქმნება, მონარქია, ფაშიზმი, თუ სოციალიზმი, ის საქართველოს და კავკასიის ჩაყლაპვას შეეცდება?!

ეს არ იცოდა ბ-ნმა წერეთელმა 1917 წელს, მაგრამ იცის კი ეხლა მაინც, როდესაც რუსეთის დემოკრატიის, სოციალიზმის და მონარქიის წარმომადგენლებმა ერთხმად სთქვეს საქვეყნოდ, რომ საქართველო რუსეთის ლუკმააო?

მაგრამ მგონი ძალიან ვცდები: შეიძლება ყოველივე კარგად იცოდა, მაგრამ რა იყო მისთვის ან სხვა სოციალ-დემოკრატისათვის საქართველო? მათი ფანატიური იდეების განსახორციელებელი საშუალება და სხვა არაფერი. უბრალო ობიექტი, საფეხური იმ დიდი დიქტატურისა, რომლის სიმაღლეზედ აბრძანება სურდათ.

და ის დიდი კათედრა, რომლის სიმაღლითგან ბ-ნი წერეთელი და მისი მეგობრები მსოფლიოს სოციალიზმის განთიადს ამცნობდენ და სოციალიზმს უკარნახებდენ, ხომ მხოლოდ რუსეთი შეიძლება ყოფილიყო. და თუ მათი ფანატიზმის სამსხვერპლოზედ საქართველოს დაკვლა დასჭირდებოდათ, ერთ წამსაც არ დაფიქრდებოდენ.

ხოლო ეს დიდი კათედრები, ეს პიედესტალი, სოციალიზმი და სხვა ყოველივე ამ გვარი მხოლოდ ტკბილი ოცნება გამოდგა. კიდევ უფრო უარესი—მარქსისმის ნარკოზით დამთვრალის და თავგაბრუებულის ბოდვა. და, აი, ეს თეორიებით დამთვრალი ხალხი მიუძღოდა წინ არაყით დამთვრალ რუსის მუჟიკებს და ამ ძალებით სურდათ მსოფლიოს ხსნა. აკი ისეც დასრულდა მათი ლაშქრობა მსოფლიოს გარდასაქმნელად, როგორც მოსალოდნელი იყო: ბოლშევიზმით.

მაგრამ როცა ლენინმა დაუნდობლად თავში ჩასცხო, თუმცა, დიდი ხნის შეზარხოშებულნი, გონს მაინც სავსებით ვერ მოვიდენ იგინი, გაქცევით კი მაინც გაიქცენ და თავი „დამოუკიდებლობას“ შეაფარეს.

აი მაგათი დამოუკიდებლობა. ხოლო, შეიცვალონ პირობები და ბ-ნ წერეთელს ხელახლად გაეღვიძოს იმედი რუსეთის „ფოხტმეისტრობისა“, რამიშვილს მოსკოვის „პოლიცმეისტრობისა“, კვანჭანტირაძეს „მუშათა და ჯარისკაცთა სოვეტების თავმჯდომარეობისა“ და ვნახავთ, კეხს როგორ შეიბრუნებენ და პირს ისევ მოსკოვისაკენ იზამენ.

ბ-ნი წერეთელი თავის სამ სიტყვაში მგონი ორჯერ იმეორებს, გვაიძულეს დამოუკიდებლობა გამოგვეცხადებინაო. თავს მართლულობს, ჩვენი ბრალი არ არის, ეს უდიდესი დანაშაული ბოლშევიკებმა ჩაგვადენიესო, ღმერთი, რჯული, ჩვენ აზრადაც არ მოგვდიოდა ასეთი რამ, მაგრამ იმნაირ მდგომარეობაში ჩაგვაყენეს, რომ აღარ ვიცოდით რა გვექმნა და რა წყალში გადავვარდნილიყავითო.

ამბობენ, როდესაც სოც. დემოკრატებმა მათ კრებაზედ გადაწყვიტეს, იძულებულნი ვართ დამოუკიდებლობა გამოვაცხადოთო, ბევრი მათგანი შიშის კანკალმა შეიპყრო. რაც შეეხება წერეთელს, მას თურმე გულს შემოეყარა და ამხანაგებმა ძლივს მოაბრუნეს.

მის სიტყვებში ნათლადა სჩანს, რომ დამოუკიდებლობა თავზედ მეხივით დასცემია. შემკრთალია და შეშინებული. წერეთლის სიტყვებს რომ ვკითხულობ, მისი კბილების ძაგძაგი მესმის.

იფიქრებთ, რა მოხდა, ეს კაცი ასე რამ შეაშინაო, და გაოცდებით. მაგრამ, მე რომ ამ საქმეს ვუკვირდები, წერეთლის პანიკა სრულიადაც არ მიკვირს. ჩემ თავს მის მდგომარეობაში ვაყენებ და მისი განცდა სავსებით მესმის.

მართლაც, მე მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში დამოუკიდებლობის ნიადაგზედ ვიდექი და ჩემი პატარა ძალით და უნარით, კალმით თუ ხმლით, ამ დიდ იდეისათვის ვიბრძოდი. საქართველოს ბარბაროს რუსეთისაგან გამოყოფა ჩემი მისწრაფება და იდეალია, რომლით ჩემი გრძნობაც და პოლიტიკური რწმენაც საზრდოობს და სულდგმულობს. ეს იდეალი თვით ჩემი არსებობის აზრია. და აი, ერთიც ვნახოთ, ერთ შვენიერ დღეს რაღაც განგებამ, რაღაც ჯოჯოხეთურმა ძალამ იმისთანა გამოუვალ მდგომარეობაში ჩამაყენა, რომ იძულებული გავხდი, ჩემის პირით და მოქმედებით საქართველოს რუსეთის სახელმწიფოში გათქვეფა გამოვაცხადო და ვსცნო! შევშინდები აბა რა იქმნება! შევშინდები, და ძალიანაც შევშინდები! და მსოფლიოს და მომავალ თაობათა წინაშე თავის მართლებას დავიწყებ: ჩემი ბრალი არ არის, ეს რაღაც მიუწდომელმა განგებამ, ტოჯოხეთის სატანამ, რაღაც მოუგერებელმა ძალამ, ფრანგები რომ იტყვიან force majeure-მა მაიძულა მეთქი, მაპატიეთ, შემინდეთ, ნუ დამგმობთ მეთქი.

ასეა სოც. დემოკრატების საქმეც. იძულებულნი იყვნენ უარ ეყოთ ის, რასაც თაყვანსა სცემდენ და თვალის ჩინად ჰქონდათ მიჩნეული. უარ-ჰყვეს მათ იძულებით თავისი განმწრთვნელი და სულიერი სამშობლო —რუსეთი, ვით პეტრე მოციქულმა თავისი მოძღვარი იესო, და მერე მისებრ მწარედ იტირეს. თუმცა, ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე, რომ ჩვენ სოც. დემოკრატებს დიდებულ პეტრე მოციქულს ვადარებ.

ბატონი წერეთელი და მისი ამხანაგები ანტონ ფურცელაძის „ქართველის“ მდგომარეობაში ჩაცვივდენ.

ეს ქართველი ერთხელ შიშის ზარმა შეიპყრო, რათგან მას ესიზმრა, რომ, რაც საქართველოში სავსე ქვევრები იყო, რაღაც მანქანებითა სავსებით დაცლილიყო“.

განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ანტონის ქართველი წითელ ღვინოს ვერცხლის კულითგან ყელში მართლა ირაკრაკებდა და თარზედ შიქასტების ღამღერებით დარდიმანდულად ქეიფობდა. ღვინოების დაშრეტა კი მხოლოდ სიზმრადა ნახა. ხოლო ჩვენი სოც.-დემოკრატები კი ამ ქვეყნის სიტკბოებაზედ, რუსეთის ბრწყინვალე დემოკრატიზმის განხორციელებაზედ, რუსის ხალხის მიერ სოციალისტურ სამოთხის შექმნაზედ ოცნებობდენ, ე.ი. სიზმრებს სიფხიზლის დროს ხედავდენ. მაგრამ მათი ძმის, ლენინის მუშტმა, ცხვირში რომ მიარტყა, თვალები გაახილინა და სინამდვილე დაანახვა... და ეს სინამდვილე ღვინის მოტრფიალე ქართველის სიზმარზედ უფრო შემზარავი გამოდგა. მათ დაინახეს, რომ იმ 120 [illegible] და ლოთ მუჟიკს, რომელს მთელს თავის [illegible] ნებოდენ, იდეალად სახავდენ, ვინაითგან თვისიანი [illegible] მახორციელებელ ძალად მას სახავდენ, ცულები, ცელები, ჩაქუჩები აელოთ ხელში და ბავშვების, ქალების და, ჰოი საშინელება! თვით სოციალისტების შემუსვრით სისხლის ზღვებს აყენებდენ; ნახეს, რომ სოციალისტურ სამოთხის ანგელოზების ნაცვლად მათ წინაშე აღიმართა ლენინის ფატალური ფიგურა, მისი ყვითელი სახით, ჯოჯოხეთის სატანის სარკასტიული ღიმილით პირზედ და დამცინავი მუქარით მის ვიწრო მონღოლურ თვალებში.

განქრა ოცნება და ტკბილი სიზმარი, ვით ბუშტი საპნისა, და საშინელ სინამდვილედ შეიცვალა.

ამ ჯოჯოხეთურ სახეს, რუსის მუჟიკების მათ დასახრჩობად გამოწვდენილ სისხლში შელებილ ხელებს და სისხლიან, სისხლის სიმბოლოს წითელ დროშას, —ე.ი. მას, რასაც ეთაყვანებოდენ, გამოექცენ და თავი მუდამ მათ მიერ დაწუნებულ საქართველოს შეაფარეს. და თუ ბ-ნი ი. წერეთლის „გენია“ პატარა საქართველოში ვერ ეტეოდა და საჭირო გასაქან ასპარეზს „ბუმბერაზ“ რუსეთში ეძებდა, ახლა იგივე საქართველო მის თავშესაფარებლად და დასამალავად საკმარისად დიდი აღმოჩნდა.

საქართველოს შეეფარენ. მაშ რა ექმნათ? სად წასულიყვნენ?

მაგრამ ვერაგმა ძმებმა ბოლშევიკებმა, როგორც ძაღლებმა მელა სოროში, საქართველოშიც არ მოასვენეს იგინი და იქაც შთანთქმა მოუნდომეს. საჭირო გახდა თავის დაცვა: ჯარის შედგენა, მთავრობის ყოლა, და ამ მოსაზრებით, ე.ი. მხოლოდ ფიზიკურ და პარტიულ თავდაცვის ანგარიშით დამოუკიდებლობა გამოაცხადეს.

ხოლო რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება მალდატანებითი იყო, ეს „დამოუკიდებლობის აქტში“ გამოაცხადეს და ი. წერეთლის სიტყვების ფრანგულად დაბეჭვდით მსოფლიოს ამცნეს.

ბატონ ი. წერეთლის სიტყვებითგან და, რასაც ქვემოდ დავინახავთ, ბ-ნ ა. ოქუმელის წიგნაკითგან ნათლადა სჩანს, რომ ამ ხალხს დამოუკიდებლობამ სულ დავთარი აურია და ტრაღიკომიკურ მდგომარეობაში ჩააყენა იგინი.

მართლაც, დამოუკიდებლობის გამოცხადებით ვის გამოეყვნენ რომ გამოეყვნენ? თავისავე თავს. რათგან რუსეთის დემოკრატია ხომ თვითონვე იყვნენ, ხომ თვითონვე წარმოადგენდენ რუსულ სოც. დემ. პარტიას, ე.ი. თვითონვე იყვნენ წარმომადგენელნი რუსის ხალხისა, რუსის მუჟიკებისა და მუშებისა, რუსის სახელმწიფოს განუყრელი ნაწილი, და აი, უცბად თავის საკუთარ თავს გამოეყვნენ და ორ არსად გადიქცენ! მეტამორფოზა, და უცნაური, სწორედ ეს არის! ამ დღითგან გაორმაგდენ, გაორდენ, გაორპიროვნდენ. არსებობს ფსიქიური ავადმყოფობა, რომელს ფსიქიატრები პიროვნების გაორებას უწოდებენ: სულით ავადმყოფს თავისი თავი ორი ჰგონია და ერთსა და იმავე საქმეს ორნაირის ურთი-ერთის საწინააღმდეგო საქციელით აკეთებს. აი, ამ ავადმყოფობამ შეიპყრო სოც. დემოკრატები დღითგან გამოყოფისა, 1918 წლის 26 მაისითგან. ე.ი. იმ შვენიერი და ბედნიერი დღითგან, როდესაც ქართველი ხალხი აღტაცებით ზეიმობდა, სოც. დემოკრატიის ტვინში ზემოდ ხსენებული ავადმყოფობის მიკრობი შეიპარა. ეს ავადმყოფობა გადაიტანს მას.

ასე დაემართება ყველას, ვინც ეროვნულ გზას გადაუხვევს, რათგან ეროვნულ გზის იქით არის უგზო-უკვლობა, ჭაობები და უფსკრულები.

სოც. დემოკრატები სრულნი დარწმუნებულნი ბრძანდებოდენ, რომ რუსის ხალხი იდეალურ რეჟიმს შეჰქმნიდა და ეს რეჟიმი მით უფრო მიმზიდველი იყო მათთვის, რომ მის წიაღში სოც. დემოკრატების ლიდერები თავის ავადმყოფურ ამბიციებს, მედიდურობას, მეგალომანიას და დიქტატორობის წყურვილს სავსებით დაიკმაყოფილებდენ.

არ იცოდენ საცოდავებმა, რომ რუსეთში რევოლუცია ბოლშევიკურ სახეს მიიღებდა. არ იცოდენ ეს, რათგან არავითარი სერიოზული ცოდნა არც პოლიტიკის, არც მსოფლიო ისტორიის, არც სამართლის და არც სოციოლოგიის არა ჰქონდათ და თვით რუსეთსაც ვერ იცნობდენ.

იქნებ ვინმემ იფიქროს, ი. წერეთელმა თავისი სიტყვები «კავკასიის სეიმში» წარმოსთქვა და ამიტომ დიდი მნიშვნელობა არა აქვსო, და როდესაც საქართველო კავკასიასაც გამოეყო, სოც. დემოკრატებმა აზრი გამოიცვალესო.

ექ რომ ასე არ არის, უპირველესად ამას თვით «დამოუკიდებლობის აქტი» მოწმობს და მერე ის ფაქტი, რომ მენშევიკურმა მთავრობამ წერეთლის ეს სიტყვები უცხოეთში დაბეჭდა.

მართლაც: თუ ი. წერეთელმა სოც. დემოკრატიის სახელით თავისი სიტყვები 1918 წელს წარმოსთქვა მხოლოდ რუსეთის და კავკასიის საგულისხმოდ, მენშევიკურმა მთავრობამ ეს საზიზღრობა ფრანგულად დაბეჭდა პარიზში 1919 წელს, დამოუკიდებლობის გამოცხადების ერთი წლის შემდეგ, და მისი შინაარსი მთელს ევროპას, ამერიკას და ერთა ლიგას, ე.ი. მსოფლიოს ამცნო.

მაშასადამე, მაშინაც კი, როდესაც საქართველო კავკასიასაც გამოეყო, ჩვენი სოც. დემოკრატია დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იყო და მას მხოლოდ დროებით მოვლენად, აუცილებელ, მაგრამ გარდამავალ ჭირად რაცხვიდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა



სცდილობდა, ეს მსოფლიოსათვის რაც შეიძლება მალე შეეტყობინებინა.

დამოუკიდებლობა მხოლოდ დროებით და გარდამავალ, წუთიერ ქირად სთვლიდენ მეთქი, რომ ვამბობ, ეს გადაჭარბებულად არ ეჩვენოს მკითხველს! ამას ცინიკურად თვითონვე აღიარებენ ს. დ.-ები ბ-ნ ალბერ თომას პირით. აღიარებენ მეთქი, რას ვამბობ? აღიარებენ კი არა, ამ სისამაგლით და სირცხვილით თავიც კი მოაქვსთ და ყოყლოჩინობენ.

ბ-ნი ი. წერეთლის წიგნაკისათვის ფრანგის ცნობილ სოციალისტს, ალბერ თომას დააწერინეს წინასიტყვაობა, და საკვირველიც! მართლაც რაღაც დაუჯერებელია რამ არის, რომ რომელიმე ქვეყნის მთავრობა თავის ქვეყნის პოლიტიკურად მოსპობას სცდილობდეს. შეიძლება ესა თუ ის მთავრობა ემყრობს მძლავრ სახელმწიფოს კავშირს, მანდატს, ან მფარველობას. მეფე ერეკლემ ამ მიზნით 1783 წელს ხელშეკრულობა დაუდო რუსეთს. მაგრამ რომ იმის ცდაში იყოს იგი, რომ საკუთარი სახელმწიფო მოსპოს და მეორე სახელმწიფოში გათქვიფოს, და თანაც ქვეყანას უმტკიცებდეს, მე იმ ქვეყნის დამოუკიდებლობა, რომელსაც განვაგებ, არა დროს მსურვებია, აწ ათაც არ მომხვლიაო, ყოველივე ეს მართლაც რომ ძნელი დასაჯერებელია!

სუ თუ იმას მაინც აღარ ჰფიქრობდენ ჩვენი ს. დ.-ები, რომ იგივე ევროპა, რომელსაც თავის გულს ესე ცინიკურად უხსნიდენ, მათ ეტყოდა: მაშ რომელი ზნეობრივი უფლებით მართავთ იმ ქვეყანას, რომლის დამოუკიდებლობის წინააღმდეგნი ხართო? მაშ როგორ შესძლებთ აღაშენოთ და განავითაროთ ის სახელმწიფო, რომლის მოსპობას პირველსავე შემთხვევაში ლამობთო? მაგრამ მოუსმინოთ ჩვენი სოც. დემოკრატების მქადაგებელს ევროპის წინაშე, ბ-ნ ალბერ თომას: «არადროს —და ეს უნდა აღინიშნოს— სეპარატისტული აზრიც კი არ მიჰკარებია ქართველი დემოკრატებისა და სოციალისტების გონებას.

მათ შეგნებული ჰქონდათ, რომ თვითმპყრობელობის ქვეშეც კი ყველა იმ ხალხებს, რომელნიც ცარიზმს ექვემდებარებოდენ, საერთო ინტერესები აერთებდა. ამიერ-კავკასია რუსეთს მხოლოდ ბოლშევიზმის სიძულვილით გამოეყო.

ამნაირად, როგორც ამტკიცებს წერეთელი, ქართველი ხალხი კრძოდ —და ამაში უმთავრესი მადლობის ღირსი მისი პარტია სოც. დემოკრატიაა— არავითარ სიძულვილით არ არის განმსჭვალული. იგი ოცნებობს ქვეყანაზედ დემოკრატიის დამკვიდრებას, როდესაც რუსეთში დემოკრატია იარსებებს. ის არც კი მეყოყმანდება, რომ ხელახლად ფედერატიულად შეუკავშირდეს სხვა სახელმწიფოებს».

აი, დღესაც კი როგორ უყურებენ სოც. დემ. დამოუკიდებლობას. რა უფლების ძალითა და რა პირით სთხოვდენ სხვა სახელმწიფოებს იმავე დროს, როდესაც ყოველივე ამას სწერდენ და აცნობდენ მსოფლიოს, საქართველოს დამოუკიდებლობა იცანითო? ე. ი. უნდა ეცნოგინებინათ ის, რასაც თვითონვე არა სცნობდენ და დროებით მოვლენად სთვლიდენ! მოდით და ჰკითხეთ ლოღიკა ამ ხალხს!

მაგრამ მკითხველს იქნებ ალბერ თომას სიტყვებში კიდევ ერთი რამ გეცხოვოს, —ის, რომ ალბერ თომა ამტკიცებს, თვით რუსის იმპერატორის დროს კავკასიის ხალხებს რუსეთთან საერთო ინტერესები აკავშირებდაო. გასაოცარი აქაც არაფერია: ალბერ თომამ მხოლოდ ჩვენი სოციალ-დემოკრატების აზრი და მეხედულება განიმეორა.

სოც. დემოკრატებს წინედ საქართველოს დამოუკიდებლობაზედ ან ავტონომიაზედ სიტყვა ბაასს დაუწყებდით, მაშინვე იმას მტკიცებას მოჰყვებოდენ, რომ რუსის იმპერატორებმა ბევრი ბედნიერება არგუნეს ქართველ ხალხსაო, მაგალითად ბატონ-ყმობის გადაგდებაო და სხვა. ეს რუსოფილები, ოღონდ კი საქართველო რუსეთს არ გამოჰყოფოდა და მზად იყვნენ «ცარიზმისათვისაც» კი მხარი დაეჭირათ. და აი, აკი ალბერ თომას პირით ამას ცინიკურად აღიარებდენ. რუსეთმა კინაღამ საბოლოოდ გადააგვარა კავკასიის ხალხები, ყოველივე შემთხვევაში ძირიანად შეარყია და დიდი ხნით დააზარალა მათი ეროვნული ცხოვრება და მთელი საუკუნით შეაფერხა ეროვნული შეგნების განვითარება და ეს დემაგოგები კი გაიძახიან, იმპერატორის დროსაც კი რუსეთის ქვეშევრდომობა დიდი ღვთის წყალობა იყო კავკასიისათვისო.

ხშირად, როდესაც დავით ბატონიშვილი საქართველოს ამბოხებების ისტორიას აღგვიწერს და რომელიმე მოღალატე ქართველს, რუსის მომხრეს იხსენიებს, თავს ველარ იკავებს და აღშფოთებული წამოიძახებს ხოლმე: «ჰოი უსჯულო სინიდისო მისო»-ო!

დიახ, ჰოი უსჯულო სინიდისი იმ ქართველთა, რომელნიც ასეთის სულითა და აზრებით უძღვებოდენ წინ უკანასკნელად საქართველოს ცხოვრებასა და ზრუნავდენ მის მომავალზედ!

3

## ოქუმელის წიგნაკი.

ბ-ნი ოქუმელიც კი ისეთი მოწინააღმდეგე იყო საქართველოს დამოუკიდებლობისა, რომ საჭიროდ დაინახა ევროპის წინაშე თავის თავის და პარტიის გამართლება იმ დანაშაულში, რომელიც მათ დამოუკიდებლობის გამოცხადებით ჩაიდინეს. ამ მიზნით ბ-მა ოქუმელმა 1919 წელს ქ. ჟენევაში გამოსცა ფრანგულად წიგნაკი :Traité conclu en 1783.

ამ წიგნაკის ლეიტ-მოტივი შემდეგია: საქართველოს დამოუკიდებლობა აროდეს სურვებია; მისი იდეალი რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკაში არსებობა იყო; დამოუკიდებლობა იძულებით გამოაცხადა, რადგან მის ტერრიტორიაზედ რუსის ხელის-უფლება და კანონი გაუქმდენ, ღვთის ანაბარა იქმნა რა მიტოვებული საქართველო რუსეთის მიერ.

აი სხვათა შორის რას ამბობს ბ-ნი ოქუმელი:

«უკვე ლვოვ-კერენსკის მთავრობის დროს ამიერ კავკასიაში და საქართველოში ნაციონალიზაცია მოხდა, ადგილობრივი მთავრობები მოეწყო, ერთი სიტყვით კავკასიის ხალხნი ავტონომიურ ერთეულებად ეწყობოდენ» (რუსეთის რესპუბლიკის ფარგლებში). და სწორედ ამ დიდ შემოქმედების დროს, ფედერატიული რუსეთის ფარგლებში, ბოლშევიკების coup d' Etat- მ იფეთქა, რის გამოც კავკასიის ავტონომიურმა ხალხებმა თავი დამოუკიდებლად გამოაცხადეს»-ო.

აქ სოც. დემოკრატების აზრი ნათლად არის გამოთქმული: იდეალი რუსეთთან ერთობა იყო და დამოუკიდებლობა კი აუცილებელი და გარეშე მომდგარი მოუგერებელი უბედურება, მუხანათ ბოლშევიკების მიერ თავზედ მოხვეული.

ბ-ნ ოქუმელს რუსეთის ფედერაცია ოდონდაც დიდებულ საქმედ მიაჩნდა. დიახ, თუ გნებავსთ, რუსეთის იმპერიის ფედერაცია დიდებული და გრანდიოზული საქმე იქმნებოდა, რომ განხორციელებულიყოს. მაგრამ უფრო რუსეთისათვის, ვიდრე საქართველოსათვის და სხვა რუსეთის მიერ დაპყრობილ ერთათვის, რომელნიც თავს ველარ დაიხსნიდენ ფედერატიულ რუსეთს და რომელთაც დაეკარგებოდათ პერსპექტივა ეროვნული სუვერენობის მიღწევისა.

მაგრამ სულ მცირე ცოდნა უნდა ჰქონდეს პოლიტიკოსს, რომელიც ერთ წუთს მაინც წარმოიდგენს, რომ რუსის ხალხს ფედერაციის მოწყობა შეუძლია.

ფედერაციებს წინ უძღვის სულ სხვა რამ, სულ სხვა პირობებს თხოულობენ იგინი, ვიდრე რუსეთს მოეპოვება. ამის მისახვედრად ფედერაციათა და კონფედერაციათა მხოლოდ გარეგნული ფორმების შესწავლა არა კმარა. საჭიროა ღრმა შესწავლა იმ ერთა ისტორიის განმავლობაში შექმნილ ინსტიტუტებისა, ეროვნული თვისებებისა, ისტორიული თავგადასავლისა, სამართლის ისტორიისა და კულტურისა, რომელთა წიაღში ფედერაციები წარმოიშვენ. ამ მხრით შესწავლილი რუსეთის წარსული და ხასიათი ნებას არ გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ფედერატიული რუსეთი შესაძლებელი ყოფილიყოს.

აი თავის წიგნაკის ბოლოში რას გვუბნება ბ-ნი ოქუმელი ევროპიელებს: «ყოველივე ამის დასკვნა შემდეგია: რუსეთმა, ბოლშევიკების სახით, თავის ნებით გაიყვანა საქართველოს საზღვრებიდგან მისი შეიარაღებული ძალები და საქართველო თავის ბედზედ მიაგდო...» და ტრაგლი წერეთელისამებრ სტირის და მოსთქვამს ბ-ნი ოქუმელი თავის წიგნაკის გვერდებზედ: მაშ რაღა დაგვრჩენოდა, დამოუკიდებლობა რომ არ გამოგვეცხადებინა, რა გვექმნა, სად ჯანდაბას წავსულიყავითო!

ხოლო მთელ წიგნაკში არაფერი არც ერთი სიტყვა, იმის შესახებ, რომ საქართველომ ოდესმე, შორეულ წარსულში მაინც იბრძოლა დამოუკიდებლობისათვის; რომ მთელმა ქართველმა ხალხმა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის გამოცხადების დღესვე ეს ვერაგული აქტი უკანონოდ აღიარა. დიახ, ყოველივე ამაზედ ერთ სიტყვასაც სმრავს ბ-ნი ოქუმელი! და როგორ იტყოდა რასმე ამის შესახებ? ეს ხომ მისი დებულების უარყოფა იქმნებოდა! და სოციალ დემოკრატები ასე არ შესცდებიან.

თავის წიგნაკში, სხვათა შორის, ბატონი ოქუმელი იმასაც კი ამტკიცებს, თითქოს რუსეთის ბატონობას საქართველოში უფლებრივი ნიადაგი ჰქონოდეს და ეს უფლება რუსეთს მხოლოდ 1917 წელს დაეკარგოს მით, რომ საქართველო უპატრონოდ მიატოვა, ე. ი. თითქოს რუსეთის მთელი 116 წლის განმავლობაში საქართველოზედ ბატონობა მხოლოდ მისი უფლების განხორციელება ყოფილიყოს!

აი რა ყალბი დებულებიდგან გამოდიოდენ სოც. დემოკრატები რუსეთ-საქართველოს საკითხზედ მსჯელობის დროს.

არ იცოდენ მათ ჩვენი ისტორია და არა ესმოდათ რა სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლისა? თუ იცოდენ, მაგრამ ყოველივეს თავის პარტიულ ინტერესებს უგუებდენ და საქართველოს ისტორიას და უფლებასაც კი სოც. დემოკრატიის პარტიის ტანზედ მოსადგომად სჭრიდენ?

რას ნიშნავს ყოველივე ეს? მხოლოდ და მხოლოდ ერთს: სოც. დემოკრატებს მომავალ რუსეთის დემოკრატიისაკენ მიმავალ გზების მოჭრა არა სურდათ და არცა სურსთ. დადგება დრო და საქართველოს იმავე მარტოვებს, დანებს, აბრამოვიჩებს, კერენსკებს და რუსის მუჟიკებს ანაცვალებენ. დამოუკიდებლობას მხოლოდ დროებით და ძალდატანებით სცნობდენ და მას პირველსავე ხელსაყრელ მომენტში კვლავ უღალატებენ.

მე, რა თქმა უნდა, მხედველობაში მყავს პარტია, როგორც ასეთი. ხოლო მწამს, რომ სოციალ დემოკრატთა მორის ისეთი პირებიც მოიპოვებიან, რომელნიც ამ ღალატს არ იკადრებენ, მაგრამ მათ ან პარტიიდგან გამოსვლა ან ცალკე სექციის დაარსება დასჭირდებათ. ეროვნულ საკითხის გამო სოც. დემ. პარტიის სექციებად დაყოფის პროცესსი უკვე დაწყებულია და იგი თავის ლოღიკურ დასკვნას მიაღწევს.

რომ სოც. დემოკრატიული პარტია დღესაც იმავე შეხედულობისაა დამოუკიდებლობაზედ, რომელიც გამოთქმულია მის საუკეთესო წარმომადგენელთა ზენოხსენებული სიტყვებით, ამას, სხვათა შორის, შემდეგიც ამტკიცებს.

ამ ორი-სამი წლის წინედ ქალაქ პრაღაში ბ-მა მილიუკოვმა წაიკითხა მოხსენება, რომელშიაც საქართველოს დამოუკიდებლობა დაჰგმო.

მოხსენებას დაესწრო საქართველოს წარმომადგენელი ჩეხოსლოვაკიაში რუსი ებრაელი აიოლო. გგონიათ, რაიმე პროტესტი განაცხადა? არა! აიოლო წამოდგა და განიმეორა თავისი მთავრობისა და თავისი პარტიის აზრი: საქართველოს დამოუკიდებლობა არა სურდაო, მან ის იძულებით გამოაცხადა და ამაში ბრალი ბოლშევიკებს მიუძღვისთო.

მე აიოლოს არ ვუსაყვედურებ. ის ლოღიკურად და კანონიერად მოიქცა. ელჩი ვალდებულია თავისი მთავრობის პოლიტიკა დაიცვას.

ბ-ნ აიოლოს მიერ მილიუკოვისადმი პასუხი მთავრობის აზრი რომ არ ყოფილიყო, მაშინ ხომ ამისთანა ელჩს უმალვე მოღალატედ გამოაცხადებდენ და გადააყენებდენ. აბა გაბედოს და პოლონეთის რომელიმე ელჩმა სადმე აიოლოს მაგალითს მიჰბაძოს! მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მენშევიკურ მთავრობას ისევე ის რუსი ებრაელი აიოლო ჰყავს წარმომადგენლად პრაღაში და, მაშასადამე, დღესაც მის სიტყვებს ავერს უკრავს.

აი როგორ უყურებდენ სოც. დემოკრატები საქართველოს დამოუკიდებლობას!

დამოუკიდებლობის წინააღმდეგნი, რა თქმა უნდა, საქართველოს თავისუფლებას ვერ დაიცავდენ და ამიტომ ისე ადვილად ჩაუგდეს ხელში ქვეყანა მოსისხლე მტერსა.

არ შეიძლება ადამიანმა დაიცვას ის, რაც არა სწამს და რასაც იძულებით აღიარებს.

ჩვენ ვაფრთხილებთ ქართველ საზოგადოებას, რათა ხელმეორედ არ მოსტყუვდეს და სოც. დემოკრატების გულწრფელი მომხრეობა დამოუკიდებლობისა არ დაიჯეროს.

სოც. დემოკრატები დამოუკიდებლობას, როგორც ყოველივე სხვა საკითხს, მხოლოდ პარტიული ინტერესების და დიქტატურის საზომით უდგებიან.

საქართველოს ინტერესებისადმი ერთად ერთი და გულწრფელი მისადგომი საზომი კი მხოლოდ «საქართველო უწინარეს ყოვლისა» შეიძლება იყოს. ხოლო ამ დიდი პრინციპის უკიდურესი მტრები სწორედ სოც. დემოკრატები არიან, რომელნიც მას თავის საკუთარ პრინციპს უპირდაპირებენ:«პარტიული ჰეგემონია უწინარეს ყოვლისა».

ამიტომ, თუ მათი პარტიული ინტერესები მოითხოვენ დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გალაშქრებას, გაილაშქრებენ. დღევანდელი მათი ალერსი დამოუკიდებლობისადმი შეიძლება ხვალ «იუდის კოცნად» გადაიქცეს.

სიფრთხილე საჭიროა! ვისაც მაინც და მაინც თავის მოტყუება და თვალების დახუჭვა სურს, ინებოს! სინამდვილეზედ თვალების გახელა განსაზღვრულ ძალას და ენერგიას თხოულობს და სიბრმავე ხშირად ყველაფერზედ ადვილი საქმეა.

ხოლო რაც შეგვეხება ჩვენ, სოც. დემოკრატების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მაურობას შემდეგით ვუპასუხებთ.

შუა-მდინარის უდაბნოში ერთხელ ბედუინების ცნობილ შეიხს იბნ-საიდს ვესტუმრე. ეს დიდი ომის დროს იყო.

არაბთა ყველა თემები და ხალხები დამოუკიდებლობისათვის ოსმალეთს ებრძოდენ და მის ჯარებს დიდ ზარალს აყენებდენ. თუმცა ოსმალეთის მთავრობა ჰპირდებოდა, ოღონდ ნუ გვებრძვით და ომის შემდეგ ფართო ავტონომიას მოგცემთო, არაბები მაინც არ უჯერებდენ დაპირებას და ბრძოლას განაგრძობდენ.

როდესაც ჩემმა მასპინძელმა ლაპარაკი ოსმალეთზედ ჩამოაგდო, მე ვკითხე, რატომ ოსმალეთისა არა გჯერათ მეთქი.

იბნ-საიდმა გაიღიმა და მოჰყვა: ერთ ამბავს გიამბობ და ჩემ პასუხს იმაში ჰპოვებო: ამ ასი წლის წინად ბედუინების უდიდესი შეიხი, შეიხთა შეიხი, რამიდ-აბუ ქაზიმი იყო.

მაშინ ჩვეულება იყო და დღესაც გვაქვს, წმინდა რამაზანის პირველ დღეს მთელი არაბეთის შეიხები თავს იყრიან ბაღდადში და იქ ცხენების დოღი იმართება.

რამიდ-აბუ-ქაზიმს მშვენიერი ცხენი ჰყავდა და გულით უნდოდა გამარჯვება. ამ მიზნით თავის სამფლობელოში ბრძანება გასცა, საუკეთესო ცხენოსანი წარმომიდგენო.

ერთ დღეს მას ერთი ახალგაზრდა წარუდგა და სთხოვა, დოღის დღეს მე შემსვი შენს ცხენზედ და უსათუოდ გავიმარჯვებო. შეიხმა ჰკითხა, აქამდე რას აკეთებდიო? —ყადის ვახლდიო, უპასუხა ყრმამ. —მერე ყადი ხომ ვირით მოგზაურობს და ალბათ შენც ვირით დასდევდი უკანაო? —დიახ, დიდებულო შეიხო, ვირით დავსდევდიო. —არა, შვილო, უთხრა შეიხმა, წადი, საითგანაც მოსულხარ, მე შენ ვერ გამომადგები, ვირზედ ნაჯდომი კაცი ბედაურზედ ვერ შეჯდებაო...

ლეო კერესელიძე.

---

თეთრი გიორგის მეორე ყრილობა გაიხსნება 21 დეკემბერს, კვირას ნაშუადღევის 3 საათზედ, პარიზში 18 rue Condé.

---

Le Gérant : Félix KALDENBACH.
Imp. METTHEZ FRERES, MONTBELIARD-HERIMONCOURT